

თავი 9 ფულის წარმოება

ჯონათანმა კატის თანხლებით განაგრძო მოგზაურობა. შენობები ნელ-ნელა გაიზარდა და ქუჩები უამრავი ხალხით აივსო. ტროტუარზე სიარული ბევრად მოხერხებული იყო იმათთვისაც კი, ვინც დაჩოქილი გადაადგილდებოდა. როდესაც ჯონათანი წითელი აგურით ნაშენ უზარმაზარ შენობას მიუახლოვდა, მას ზემოდან დაზგების გრუხუნის ხმა მოესმა. უღარუნის აჩქარებული რიტმი საბეჭდი დაზგის ხმას ჰგავდა.

– მგონი ადგილობრივი გაზეთის გამომცემლობა უნდა იყოს, – ხმამაღლა წარმოთქვა ჯონათანმა, თითქოს კატისგან პასუხს ელოდა, – ძალიან კარგი! იქნებ ახლა მაინც გავიგო, რა ხდება ამ კუნძულზე.

მან ნაბიჯს მოუმატა და შენობის შესასვლელს დაუწყო ძებნა. კუთხეში რომ მოუხვია, ერთ წყვილს შეეჯახა. კოსტად ჩაცმული ქალი და მამაკაცი ხელიხელჩაკიდებული ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე მოსეირნობდა.

– უკაცრავად, – მოუბოდიშა ჯონათანმა, – ეს გაზეთის გამომცემლობაა?

ამ სიტყვებზე ქალს გაელიმა, ხოლო მამაკაცმა თქვა:

– ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ცდებით, ახალგაზრდავ. ეს გამომცემლობა სულაც არ არის. ეს ფულის წარმოების სახელმწიფო ბიუროა.

– აუ! მე კი უფრო მნიშვნელოვანი რამ მეგონა, – ჩაიბურტყუნა გულდაწყვეტილმა ჯონათანმა.

– მერწმუნეთ, ეს ბიურო გაცილებით მნიშვნელოვანია ვიდრე უბრალო გაზეთის გამომცემლობა. ასე არ არის, ძვირფასო? – თქვა მამაკაცმა და ქალს ხელთათმანიან ხელზე მოუთათუნა.

– რასაკვირველია, – ჩაიხითხითა ქალმა. – ფულის ბეჭდვით ბიუროს უდიდესი ბედნიერება მოაქვს ხალხისთვის.

– შესანიშნავია! – სიხარულით წარმოთქვა ჯონათანმა, – ამ წუთას ბედნიერებისთვის სწორედ ფული მჭირდება. ცოტაოდენი ფული რომ დამებეჭდა, მაშინ...

– ო, არა, – უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა მამაკაცმა და გაკიცხვის ნიშნად თითი დაუქნია ჯონათანს... – ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

– ნამდვილად! – დაუდასტურა ქალმა, – ის, ვინც ღორღთა საბჭოს ნებართვის გარეშე ბეჭდავს ფულს „ყალბი ფულის მჭრელია“ და მისი ადგილი გისოსებს მიღმაა. ჩვენს ქალაქში ნაძირალებს ვერ ავიტანთ, – დასძინა მან.

მამაკაცმა დასტურის ნიშნად ქალს თავი დაუქნია.

– ყალბი ფულის მოჭრისა და გასაღების შემთხვევაში, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა ჭარბობს. შესაბამისად ფასები მატულობს, ხოლო ხელფასი, პენსია და დანაზოგი უფასურდება. ეს ხომ წმინდა წყლის ქურდობაა.

ჯონათანი გაოგნებული იყო. იქნებ რაღაც გამომრჩა ან არასწორედ გავიგე?, გაიფიქრა მან.

– თქვენ არ თქვით, რომ ბევრი ფულის ბეჭდვას ხალხისთვის ბედნიერება მოაქვს? – თქვა ჯონათანმა.

– კი, მაგრამ იმ პირობით, თუ... – ქალმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. ამ დროს საუბარში მამაკაცი ჩაერთო – ...თუ ფული ოფიციალურად იბეჭდება.

ჯონათანი გაოცებული იყო ამ წყვილის ურთიერთშეწყობით. ისინი თითქოს ერთმანეთის აზრებს კითხულობდნენ. მამაკაცმა ჯიბიდან დიდი ტყავის საფულე ამოიღო და ჯონათანს რაღაც ქაღალდი აჩვენა. მან ღორღთა საბჭოს ოფიციალურ ბეჭედზე მიუთითა და დასძინა:

– დახედე, აქ წერია, რომ ეს „გადახდის კანონიერი საშუალებაა“, რაც ფულს ლეგალურს ხდის.

– ... ლეგალური ფულის ბეჭდვას „ფულად-საკრედიტო პოლიტიკას“ უწოდებენ, – განაგრძო ქალმა ისე, თითქოს ტექსტი ზეპირად ჰქონდა ნასწავლი, – ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გენერალური გეგმის ნაწილია.

მამაკაცმა საფულე უკან დააბრუნა და დასძინა:

– თუ ეს ოფიციალურად ხდება, მაშინ ის, ვინც გადახდის კანონიერ საშუალებას გამოსცემს, ქურდად აღარ ჩაითვლება.

– რა თქმა უნდა, არა! – თქვა ქალმა, – როგორც წესი, თანხებს ლორდთა საბჭოს წევრები ჩვენს მაგივრად განკარგავენ.

– დიახაც! თანაც ისინი ძალზე ხელგაშლილები არიან. ფულს იმ ხალხის საკეთილდღეოდ ხარჯავენ, ვინც მათი ერთგულია და არჩევნებში უჭერს მხარს... – თქვა მამაკაცმა და ჯონათანს თვალი ჩაუკრა.

– კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს, თუ ნებას დამრთავთ... თქვენ ბრძანეთ, რომ ყალბი ფულის მიმოქცევა ხელს უწყობს ფასების ზრდას, ხელფასების, დანაზოგებისა და პენსიების გაუფასურებას. განა ფულის ოფიციალურად ბეჭდვისას იგივე არ ხდება?

წვეილმა ერთმანეთს გადახედა.

– რასაკვირველია, ფასები მატულობს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ბედნიერები ვართ, როცა ლორდებს მეტი ფული აქვთ, რომ ჩვენ დაგვახარჯონ. მათ ხომ იმდენი ხალხის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილონ – მუშების, უმუშევრების, შეძლებულებისა და ღარიბების, მოხუცებისა და ახალგაზრდების. – თქვა მამაკაცმა.

ქალმა კი განმარტა:

– ლორდებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ფასებთან დაკავშირებული პრობლემები. მათ დაადგინეს, რომ ჩვენი გასაჭირის ძირითადი მიზეზი უიღბლობა და უამინდობაა. ბუნების ახირება იწვევს ფასების მომატებასა და ცხოვრების დონის დაქვეითებას – განსაკუთრებით ტყისპირა და სამეურნეო რაიონებში.

– ნამდვილად! – წამოიძახა მამაკაცმა, – ჩვენს კუნძულზე ხშირია ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლის შედეგად იმსხვრევა ჩვენი ეკონომიკა და იზრდება ფასები. ერთ მშვენიერ დღეს მაღალი ფასები სურსათსა და შეშაზე ჩვენი დაღუპვის მიზეზი გახდება.

– და დაბალი ფასები?! – შესჩივლა ქალმა, – ეს უცხოელები, თავისი სასტიკი კონკურენციით... ისინი ხომ სულ ცდილობენ სანთლებისა და ქურქების უკიდურესად დაბალ ფასში გასაღებას. მაღლობა ღმერთს, რომ გვყავს ბრძენი ლორდთა საბჭო, რომელიც მკაცრად უმკლავდება მათ და განსაზღვრავს, რა არის ჩვენთვის უფრო მისაღები და ღირებული, – ქალი მამაკაცს მიუბრუნდა და მკლაფზე ჩაებღაუჭა.

– მართალია, ძვირფასო! – უპასუხა მამაკაცმა, – იმედია არ გვიწყენთ, ახალგაზრდავ! ჩვენს საინვესტიციო ბანკის მმართველთან შეხვედრაზე გვაგვიანდება. ახალი მიწებისა და ძვირფასი ლითონების შეძენის შანსის ხელიდან გაშვება არ გვინდა. წავიდეთ, ძვირფასო.

მამაკაცმა დამშვიდობების ნიშნად ხელი ქუდისკენ წაიღო, ქალმა კი თავაზიანად თავი დაუკრა. ჯონათანს ორივემ მშვიდობიანი გზა უსურვა.